

რობერტ სტურუა დაიბადა 1938 წლის 31 ივლისს. რეჟისორის მამა, რობერტ ივანეს ძე სტურუა ცნობილი მხატვარი, რომლის ნამუშევრები თბილისის ხელოვნების მუზეუმსა და საქართველოს თეატრის მუსიკის კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმშია გამოფენილი. დედა – ცუცა (მაყვალა) ბოლქვაძე.

დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. 1962 წლიდან მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში. 1979 წლიდან თეატრის მთავარი რეჟისორია, 1980 წლიდან კი – მისი სამხატვრო ხელმძღვანელიცაა.

ახალგაზრდა რეჟისორის ტალანტი ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდის ნამუშევრებში გამოჩნდა. 1965 წელს რუსთაველის თეატრის სცენაზე სტურუამ დადგა ა. მილერის. სეილემის პროცესი, რამაც რეჟისორს პირველი ნამდვილი წარმატება მოუტანა. მოგვიანებით სტურუა იტყვის: “ამ წარმოდგენით, ჩემთვის შეუმჩნეველად, კონცეპტუალურ რაჟისურამდე მივედი.” თეატრალური ფორმის ოსტატობა გამოჩნდა მის მეორე მნიშვნელოვან ნამუშევარში, დ. კლდიაშვილის სამანიშვილის დედინაცვალი, რომელიც თ. ჩხეიძესთან ერთად დადგა. მნიშვნელოვანი წარმატება მოჰყვა სპექტაკლს ხანუმა, რომელშიც მხიარული, კომიკური, მაგრამ რეალისტური პერსონაჟები ბუნებრივად ებმებიან პირობით თამაშში.

1970-იან წლებში უკვე გაჩნდა ცნება “რობერტ სტურუას თეატრი”. პ. კაკაბაძის ყვარყვარეში რეჟისორი სვამს სცენას ბრეხტის პიესიდან არტურ უის კარიერა. აქედან იწყება სტურუას შემოქმედებაში ბრეხტის პერიოდი, რაც რეალობის თეატრალურ მოდელირებას გულისხმობს.

1975 წელს დაიდგა ბ. ბრეხტის “კავკასიური ცარცის წრე”, სპექტაკლი-დღესასწაული, რომელმაც მსოფლიო შემოიარა, შევიდა საერთაშორისო კრებულში “XX საუკუნის საუკეთესო სპექტაკლები” და დღესაც ცოცხალ ლეგენდად რჩება; სპექტაკლში მთავარი როლი შეასრულა რამაზ ჩხიკვაძემ.

1979 წელს დაიდგა უ. შექსპირის “რიჩარდ III”, შეუდარებელი რამაზ ჩხიკვაძით მთავარ როლში.

1980-იანი წლები განსაკუთრებით ნაყოფიერია სტურუას შემოქმედებაში. ამ პერიოდში იდგმება: თ. ჭილაძის როლი დამწყები მსახიობის ქალისთვის (1980), მ. შარპოვის ცისფერი ცხენები წითელ ბალახზე (1980), რ. სტურუას, ლ. ფოფხაძისა და ა. ვარსიმაშვილის ვარიაციები თანამედროვე თემაზე (1981), რ. იბრაგიმბეკოვის დაკრძალვა კალიფორნიაში (1983) და ა.შ.

1987 წელს სტურუა დგამს მეფე ლირს. მასში გამოიკვეთა რეჟისორის მიდრეკილება ფილოსოფიური რეჟისურისადმი, რომელშიც სამყაროს თეატრალური ხედვა ტრაგიკულ ფინალს ერწყმის. სპექტაკლში სტურუამ განსაცვიფრებელი სიზუსტით იწინასწარმეტყველა ძველი სამყაროს ნგრევა... რობერტ სტურუა ცნობილია როგორც შექსპირის თეატრის “პარადოქსული ინტერპრეტატორი”. 37 პიესიდან 17 უკვე დადგმული აქვს რუსთაველის სცენაზე და მსოფლიოს სხვადასხვა თეატრებში. ლონდონის რივერსაიდ სტუდიაში დადგმული

“ჰამლეტი” (1986), ალან რიკმანით მთავარ როლში, შექსპირის საერთაშორისო საზოგადოებამ ბოლო 50 წლის მანძილზე შექმნილ ათ საუკეთესო სპექტაკლს შორის დასახელა. თბილისური “ჰამლეტის” ორივე ვერსია (2001, 2006), სტურუას თქმით, “დრომ მოიტანა”, “ისევე როგორც მკაცრი და დინამიური “მაკბეტი” (1995) ან “როგორც გენებოთ ანუ შობის მეთორმეტე ღამე” (2002), თავისი განსაცვიფრებელი რიტმითა და პირობითობით. 90-იანი წლების სპექტაკლებში აქცენტები უკვე ადამიანსა და მის სულიერ სამყაროზეა გადატანილი. კრიტიკა “კეთილი სტურუას” თეატრზე იწყებს ლაპარაკს. მის მიერ დადგმული სპექტაკლით – კალდერონის “ცხოვრება სიზმარია”(1992), სტურუას შემოქმედებაში უკვე მეტაფიზიკური რეალობა შემოდის. 90-იან წლებში განახორციელა რეჟისორმა სპექტაკლების დადგმა: ბრეტის “სეზუანელი კეთილი ადამინი” (1993), “იაკობის სახარება” (1995, გოგებაშვილის “დედაენის” მიხედვით), გრ. რობაქიძის “ლამარა” (1996)...

1994 წელს სტურუა გოგებაშვილის დედაენის მიხედვით დგამს სპექტაკლს იაკობის სახარება. 1996 წელს იქმნება ლამარა, გ. რობაქიძის ლირიკულ-მითოლოგიური დრამის მიხედვით. 1997 წელს ლ. თაბუკაშვილის პიესის მიხედვით დადგმული მერე რა, რომ სველია სველი იასამანი განსაკუთრებით პოპულარული ხდება ახალგაზრდა თაობაში. 1998 წელს ახალგაზრდა რეჟისორ დ. საყვარელიძესთან ერთად სტურუა დგამს კ. გოცის პიესას ქალი-გველი. ამავე წელს მოსკოვში თეატრ “სატირიკონში” იდგმება სტურუას ჰამლეტი, რომელშიც მთავარ როლს ასრულებს კ. რაიკინი. 2000 წელს ისევ მოსკოვში, თეატრში «Et cetera» იდგმება შეილოკი (უ. შექსპირის ვენეციელი ვაჭრის მიხედვით).

ახალ ათასწლეულში შექმნილ სპექტაკლებში რობერტ სტურუას დიალოგი მაყურებელთან უფრო ფილოსოფიური გახდა. რეჟისორი თითქოს მეტს ფიქრობს მარადისობაზე, ეძებს სიცოცხლესა და სიკვდილს შორის გადებულ ზღვარს. სპექტაკლების მეტაფორული ენაც უფრო მდიდარი და პოეტურია. ასეთია გია ყანჩელის მუსიკაზე შექმნილი პლასტიკური სპექტაკლი-ფანტაზია “სტიქსი” (2002), “ჰამლეტის” ორივე თბილისური ვერსია (2001, 2006), ს. ბეკეტის “გოდოს მოლოდინში” (2002).

სტურუას ჰყავს ორი მუდმივი თანაავტორი: მხატვარი გიორგი ალექსი-მესხიშვილი და კომპოზიტორი გია ყანჩელი. რეჟისორი ბევრს მუშაობდა საზღვარგარეთ, მსოფლიოს სხვადასხვა თეატრებში დადგმული აქვს შექსპირის, სოფოკლეს, მოლიერის, ჩეხოვის, ბრეტის პიესები. მიღებული აქვს მრავალი თეატრალური პრემია.

რობერტ სტურუას კრეატიული სამყარო უზომოდ მრავალფეროვანია. მის სპექტაკლებში ჰარმონიულად თანაარსებობს ტრაგედია და კლოუნადა, პოლიტიკური ფარსი და მელოდრამა; კლასიკურ კომიზმს ფილოსოფიური მედიტაციები ენაცვლება, უკიდურესი რაციონალიზმი იოლად იძენს გროტესკულ თუ სარკასტულ ელფერს, ეს მრავალფეროვნება ეკლექტური არასდროს ყოფილა. რადგან რაჟისორი მსუბუქად და ელეგანტურად მართავს სცენასა და მსახიობებს, მისი ფანტაზია ამოუწურავია და მას ყოველთვის ხელთ უპყრია სპექტაკლის იდეა და რიტმი.

სტურუას სპექტაკლებმა რუსთაველის თეატრს და თავად რეჟისორს მსოფლიო აღიარება მოუტანა. მის დადგმებს სენსაციურს უწოდებენ, ხოლო სტურუას ევროპული თეატრის ყველა ცნობილ რეჟისორს ადარებენ. არ დარჩენილა არც ერთი ფესტივალი სადაც მისი სპექტაკლები არ ყოფილიყოს წარმოდგენილი. ქართველი მსახიობების შეუდარებელი პროფესიონალიზმით აღფრთოვანებული მაყურებელი ოვაციას ვერ მალავდა არგენტინაში, ავსტრალიაში, პოლონეთში, საფრანგეთსა თუ შვეიცარიაში. სტურუამ დაიპყრო მექსიკა, ედინბურგი, ლონდონი, იერუსალიმი, რომი, მოსკოვი, დიუსელდორფი და, რაც მთავარია, მშობლიური თბილისი.

#### **პრემიები:**

სსრკ სახელმწიფო პრემია (1979)  
რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემია (2000)  
საქართველოს სახელმწიფო პრემია (1996)  
კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია (1976)  
შოთა რუსთაველის სახელობის პრემია (1981)  
მიხეილ თუმანიშვილის სახელობის პრემია (1997)  
ალ. ყაზბეგის სახელობის პრემია (1999)  
ჩაპლინ-კლუბის პრემია (1998)  
საქართველოს ღირსების ორდენი (1998)

#### **საერთაშორისო პრემიები:**

ალბერტ შვეიცერის სახელობის პრემია (1975)  
ინგლისური კრიტიკის პრემია (1980)  
იტალიური კრიტიკის პრემია (1981)  
არგენტინის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრემია (1988)  
რუსთავის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პრემია- “პრეზიდენტის ოქროს მედალი” (1998)  
“თოლია”, ყველაზე ორიგინალური რეჟისორული ინტერპრეტაციისთვის (მოსკოვი, 1998)  
ფესტივალ “ზალტიური სახლის” მთავარი პრემია (1998)

რობერტ რობერტის-მე სტურუას პირადი საარქივო ფონდი

- 1.ლია გუგუნავა:სტატია-ჰ.იბსენი-"ექიმი შტოკმანი" რუსთაველის სახ.თ-ში. 1972წ.მანქ.ნაბ ქართ.ენ.9ფ.
2. ლექსები მიძღვნილი რობერტ სტურუასადმი. 1.ვ.резников: “песня о самарския строителя” 2. А.Фролов: “Воспоминание о шестом подъезде”. უთარილო.დასტამბული რუსული ენ. 2ფ.
- 3.რობერტ სტურუა ჩანაწერები. უთარილო. ავტოგრაფი. რუსული ენ. 2ფ.
4. გოგი ალექსი-მესხიშვილის წერილი რობერტ სტურუასადმი. წერს სპექტაკლის(?) სცენოგრაფიაზე, მონახაზეები, წერილს ახლავს დანართები, თუ როგორ იქნება სცენაზე განათება და შირმების მოძრაობა. 1994წ. 19ფ

5. რობერტ სტურუას წერილი მისი რუსთაველის თ-დან წასვლის შესახებ (შავი) უთარილო. 5ფ.
6. ინტერვიუები რობერტ სტურუასთან-ამონაბეჭდები პრესიდან. 1975,79,80,81. წ.წ. მანქ. ნაბ. ქართ. ენ. 22ფ.
7. ბრძანება რობერტ სტურუას და გოგი ქავთარაძის პიესის: " დაბადების დღე"-ს ჩაშვების შესახებ. 1964წ. 2ფ.
8. რობერტ სტურუა: "როგორ გავატარე შარშანდელი ზაფხული". უთარილო. ავტოგრაფი. ქართ.ენ. 3ფ.
9. უილიამ შექსპირი: "ვენეციელი ვაჭარი" სცენარი. უთარილო. მანქ. ნაბ. იტალიური.ენ. 61ფ.
10. ა.გრიბოედოვის სახ.თ-რის სცენაზე დეკორაციის განლაგების გეგმა სპექტაკლისთვის " Соколовище". ჯ.პრისტლისა. 1961წ. ფანქრით მელნით ნახაზი. ტექსტი რუსული ენ. 1ფ.
11. ჯილდო "ოქროს ფრთა" გაცემული რობერტ სტურუას სახელზე. აჯილდოებს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდი ,, ოქროს ფრთა,, თანამედროვე თეატრალური ხელოვნების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისა და ინოვაციური პროექტების განხორციელებისთვის. ხელს აწერს: ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის,,ოქროს ფრთის,, პრეზიდენტი-თაკო ჩარკვიანი. 2009წ. დასტამბული. ლამინირებული. ქართ.ინგლ.ენ. 1ც.
12. დიპლომი რობერტ სტურუას დაჯილდოების შესახებ ნომინაციაში წლის ხელოვანი "ოქროს პერგამენტი" აჯილდოებს- „2008 წლის ადამიანები და კომპანიები, ორგანიზაციები,,: 2008წ. დასტამბ. ქართ ენ.1ც.
13. დიპლომი რობერტ სტურუას დაჯილდოების შესახებ. აჯილდოებს მედიაპროექტ „სახელები 2005-ის რეგაქცია- ნომინაციაში:,,თეატრალური მოვლენისთვის „სტიქსი,,. დიპლომს ხელს აწერენ –მედიაპროექტ „სახელები 2005-ის,, მთავარი რედაქტორი: ნანა აკობაძე 2005წ. დასტამბ. ქართ.ინგლ. ენ.1ც.
14. დიპლომი რობერტ სტურუას დაჯილდოების შესახებ. აჯილდოებს საქ. კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო. აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო-2007 წლის 1-7 სექტემბერს, ზემო აფხაზეთში მონო სპექტაკლების და ფოლკლორის ფესტივალში მონაწილეობისთვის .ხელს აწერს- აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი: ალექსანდრე აპლაკოვი. უთარილო. დასტამბ.ქართ ენ.1ც.
15. სანქტ-პეტერბურგის საორგანიზაციო კომიტეტი აჯილდოებს რობერტ სტურუას გ.ა.ტოვსტონოგოვის სახელ.პრემიით თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის. ხელს აწერს-საორგ. კომ. წარმ. რუსეთის სახალხო არტისტი: ს.ი. პარშინი. სანკტ-პეტერბურგი.2009წ. დასტამბ.რუსული ენ. 1ც.
16. ილია ჭავჭავაძის ფონდი აჯილდოებს "ილიას მედლით" ქართველ რეჟისორს რობერტ სტურუას თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის 2009წ. დასტამბ.ქართ ენ.1ც.
17. მიხ.თუმანიშვილის სახელობის პრემია-გაცემული რობერტ სტურუას სახელზე აჯილდოებს საქართველოს კულტურის სამინისტრო და ანიჭებს მას "საუკეთესო რეჟისორის" წოდებას.1997წ. დასტამბ.ქართ ენ.1ც.
18. კინომსახიობთა თ-რისა და საქართ. სახ. კინოკორპორაციის მიერ მიწერილი მისალოცი წერილი რობერტ სტურუასადმი.. თეატრი ულოცავს მიხ. თუმანიშვილის სახ. პრემიის მინიჭებას და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს 1997წ. მანქ. ნაბ. ქართ.ენ. 1ფ.

19. შ.პ.ს. "ყაზბეგი-კასტელი", აღ.ყაზბეგის სახელობის პრემიით აჯილდოებს გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწეს რობერტ სტურუას თეატრალურ სფეროში ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის. 1999წ. დასტამბ.ქართ ენ.1ც.
- 20.. საჩუქარი რობერტ სტურუას. ვერდის პორტრეტის გამოსახულებით. დასტამბული .1ც 1991წ. ჯ. ვერდის სამშობლო. ქ. ბიუსეთი..
- 21.დიპლომი რობერტ სტურუას სახელზე გაცემული. აჯილდოებს ბუენოს აირისის თეატრი სპექტაკლების საუკეთესო რეჟისურისთვის.დასტამბული.ინგლისურ ენაზე.5 ნოემბერი.1998 წ
22. დიპლომი გაცემული რობერტ სტურუას სახელზე ავსტრიის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შერსახებ.ინგლისურ ენაზე.დასტამბული.6 მარტი,1986წ.
23. სამარის ოპერისა და ბალეტის თეატრის მიერ გაცემული დიპლომი რეჟისორ რობერტ სტურუას სახელზე. თეატრი აჯილდოებს რობერტ სტურუას საერთაშორისო კულტურის განვითარებისთვის და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს სამარის მიწაზე. 1999წ. დასტამბ. რუსულ ენ. 1ც.
24. თბილისის შ.რუსთაველის სახელობის თეატრის საგასტროლო პროგრამები– „ქალი გველი,, 18-19 აპრილი. 3 ც. „შამლეტი,, 2 ც .
- 25.პროგრამა–პროსპექტი. სპექტაკლი „მზიანი ღამე,,. რეჟისორი– რობერტ სტურუა ,მხატვარი–ო. ქოჩაკიძე, კომპოზიტორი— გ. ყანჩელი. უთარილო.დასტამბული.1 ც.
26. სერ. პროკოფიევის "სემიონ კოტკოს" ნახატი-რეპროდუქცია. უთარილო. 1ც.
27. სარეკლამო ფურცლები-1989წ. დასტ. ქართ.რუს.უცხ.ენ. 5ც.
28. ფოტოსურათები 3 ც.:1. რობერტ სტურუა, 2.სერგო ფარაჯანოვი,3. კადრი ერთ–ერთი სპექტაკლიდან, უთარილო. 3ც. ფერადი.

რობერტ სტურუას არქივი დაამუშავა : ქეთევან ვარდიაშვილმა.  
5 ოქტომბერი,2010წ.